# სამუშაო სივრცეში ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება

*„ინდივიდუალური (პერსონალური) დაცვის საშუალებები“* ნიშნავს ნებისმიერ იმ საშუალებას, რომელსაც დასაქმებულები იყენებენ იმ მიზნით, რომ დაცულნი იყვნენ ერთი ან რამდენიმე საფრთხისგან, რომლებიც სამუშაო სივრცეში მათ უსაფრთხოებას და ჯანმრთელობას რისკის ქვეშ აყენებს;

**ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მინიმალური ჩამონათვალი**
**თავის დამცავი საშუალებები**

- დამცავი ჩაფხუტები სხვადასხვა საწარმოებში გამოსაყენებლად (მაღაროები, სამშენებლო ობიექტები, სხვა ინდუსტრიული ობიექტები).
- თავის კანის დამცავი საშუალებები (ქუდები, ბერეტები, თმის ბადეები – თვალის დამცავებით ან მათ გარეშე).
- დამცავი თავსაბურავები (ბერეტები, ქუდები, საწვიმარი ქუდები ე.წ. „ზიუიდვესტერები“).

**სმენის ორგანოების დამცავი საშუალებები**

- ყურსადებები და მსგავსი მოწყობილობები.
- მთლიანი აკუსტიკური ჩაფხუტები.
- ყურსაცმები – ყურის დამფარავი საშუალებები, რომლებიც ინდუსტრიულ ჩაფხუტებთან ერთად შეიძლება იქნას გამოყენებული.
- ყურის დამცავები დაბალი სიხშირის ტალღების მიმღებით.
- ყურის დაცვა ორმხრივი კავშირის (ინტერკომის) აღჭურვილობით.

**თვალის და სახის დაცვა**

- სათვალეები.
- დამცავი სათვალეები (დახურული კონსტრუქციის ე.წ. „გუგლი“).
- რენტგენის, ლაზერული სხივების, ულტრა-იისფერი, ინფრაწითელი და რადიაციული გამოსხივებისგან დამცავი სათვალეები (დახურული კონსტრუქციის).
- სახის დამცავი ფარები.
- შედუღებისას გამოყენებული ნიღბები და ჩაფხუტები (ხელის ნიღბები, თავზე დასამაგრებელი ნიღბები ან ისეთი ნიღბები, რომლებიც დამცავ ჩაფხუტებზე მაგრდება).

**სასუნთქი ორგანოების დამცავი საშუალებები**

- მტვრისგან დამცავი ნიღბები (მფილტრავი, უფილტრო და სხვა)

**რადიოაქტიური მტვრისგან დამცავი ნიღბები**

- მავნე აირებისგან დამცავი საშუალებებლი მათ შორის მიწისქვეშა ავარიის (აფეთქება, ხანძარი, აირის უეცარი გამოტყორცნა, ჩამოქცევა) შემთხვევაში ადამიანის სუნთქვისათვის მავნე გარემოში ერთჯერადი გამოყენების აპარატები(თვითმაშველები, აირწინაღები, და სხვა).

- მაიზოლირებელი მოწყობილობები ჰაერის მიწოდებით.
- სასუნთქი მოწყობილობები (რესპირატორები), მათ შორის მოსახსნელი ნიღაბი, რომელიც შედუღებისას გამოიყენება.
- ჩასაყვინთი აღჭურვილობა.
- ჩასაყვინთი (დაივინგის) კოსტუმები.

**ხელის მტევნის და მკლავის დამცავი საშუალებები**

- ხელთათმანები, რომლებიც მომხმარებელს იცავს:
  მანქანა-დანადგარებისგან (ჩხვლეტა, გაჭრა, ვიბრაცია და ა.შ.), ქიმიური მასალებისგან, ელექტროენერგიისგან და მაღალი ტემპერატურისგან.

- ყინვისგან დამცავი ხელთათმანები.

- თითების დამცავები (სათითურები).
- დამცავი სამკლაურები.
- მაჯის დამცავი საშუალებები მძიმე სამუშაოების შესრულებისას.
- უთითებო ხელთათმანები.
- დამცავი ხელთათმანები

**ტერფისა და ფეხის დამცავი საშუალებები:**

- დაბალყელიანი ფეხსაცმელები, საშუალო და მაღალყელიანიჩექმები, უსაფრთხოების ჩექმები.
- ფეხსაცმელები რომელთა სწრაფად გახსნა არის შესაძლებელი (თასმების და ა.შ. სწრაფად გახსნის შედეგად).
- ფეხსაცმელები ფეხის თითების დამატებითი დამცავი დეტალებით.
- ფეხსაცმელები და ბოტები მაღალი ტემპერატურის გამძლე ძირებით.
- მაღალი ტემპერატურის გამძლე ფეხსაცმელები, ჩექმები და ჩექმების დამცავი გარსაცმები.
- თერმული ფეხსაცმელები, ჩექმები და ჩექმების დამცავი გარსაცმები.
- ვიბრაციის გამძლე ფეხსაცმელები, ჩექმები და ჩექმების დამცავი გარსაცმები.
- ანტისტატიკური ფეხსაცმელები, ჩექმები და ჩექმების დამცავი გარსაცმები.
- საიზოლაციო ფეხსაცმელები, ჩექმები და ჩექმების დამცავი გარსაცმები.
- დამცავი ჩექმები ელექტროხერხთან მომუშავე პირებისთვის.
- ხის ძირიანი ფეხსაცმელები.
- მუხლების დამცავი საშუალებები (სამუხლეები).
- ფეხის ზურგის დამცავი მოსახსნელი საშუალება.
- გამაშები.
- მოსახსნელი ფეხსაცმლისლანჩები (მაღალი ტემპერატურის გამძლე, ჩხვლეტისგან დამცავი ან ოფლისგაუმტარი).
- მოსახსნელი წვეტიანი შვერილები, რომლებიც ყინულზე, თოვლში ან მოლიპულ ნიადაგზე სასიარულოდ გამოიყენება.

**კანის დამცავი საშუალებები:**

- დამცავი კრემები/მალამოები.

**ტანის და მუცლის დამცავი საშუალებები:**

- დამცავი ჟილეტები, ჟაკეტები და წინსაფრები, რომლებიც მანქანა-დანადგარებისგან დასაცავად გამოიყენება (ჩხვლეტა, ჭრა, გამდნარი მეტალის შხეფები და ა.შ.).
- დამცავი ჟილეტები, ჟაკეტები და წინსაფრები, რომლებიც ქიმიური ნივთიერებებისგან დასაცავად გამოიყენება.
- გამათბობელი ჟილეტები.
- სამაშველო ჟილეტები.
- რენტგენის სხივებისგან დამცავი წინსაფრები.
- სხეულის დამჭერი ქამრები.

**მთელი სხეულის დამცავი საშუალებები:**

- ჩამოვარდნის პრევენციისთვის შექმნილი საშუალებები.
- ჩამოვადნის აღმკვეთი აღჭურვილობა (მთლიანი აღჭურვილობა ყველა საჭირო აქსესუარით).
- სამუხრუჭე აღჭურვილობა, რომელიც კინეტიკური ენერგიის შთანთქმისთვის არის შექმნილი (მთლიანი აღჭურვილობა ყველა საჭირო აქსესუარით).
- სხეულის დამჭერი მოწყობილობები (უსაფრთხოების ღვედები და ქამრები).
- დამცავი ტანსაცმელი.
- „უსაფრთხოების უზრუნველმყოფი“ სამუშაო სპეცტანსაცმელი (ორნაწილიანი და კომბინიზონები).
- მანქანა-დანადგარებისგან დამცავი ტანსაცმელი (ჩხვლეტა, ჭრა და ა.შ.).
- ქიმიური ნივთიერებებისგან დამცავი ტანსაცმელი.
- გამდნარი მეტალის შხეფებისგან და ინფრაწითელი რადიაციისგან დამცავი ტანსაცმელი.
- მაღალი ტემპერატურისადმი მედეგი სპეცტანსაცმელი.
- თერმული სპეცტანსაცმელი.
- რადიოაქტიური დაბინძურებისგან დამცავი ტანსაცმელი.
- მტვერგაუმტარი სპეცტანსაცმელი.
- აირშეუღწევადი სპეცტანსაცმელი.
- ფლურესცენციული სპეცტანსაცმელი, სინათლის ამრეკლი ტანსაცმელი და აქსესუარები (სამკლაურები და ხელთათმანები და ა.შ.).
- დამცავი საფარი.